

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა

და

გაერთიანება - "სათემო კოლეჯები საერთაშორისო განვითარებისათვის"

## ურთიერთგაგების მემორანდუმი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შეთანხმებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა, (შემდგომში - "სამინისტრო"), თბილისი, საქართველო და გაერთიანებას - "სათემო კოლეჯები საერთაშორისო განვითარებისათვის" (Community Colleges for International Development, Inc., შემდგომში - "გაერთიანება"), აიოვას შტატი, ა.შ.შ., შორის.

### I. მიზანი

წინამდებარე მემორანდუმი მიზნად ისახავს ღონისძიებათა პროგრამის განხორციელებას, რომელიც დაეხმარება პროფესიული სისტემის რეფორმირებას, საქართველოს არსებულ პირობებთან ადაპტირებული ამერიკული სათემო კოლეჯის მოდელზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებას ორი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთანამშრომლობის, ტექნიკური დახმარებისა და სხვა ტიპის პროექტების მეშვეობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სათანადო დაფინანსების შემთხვევაში:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური პირები და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები გაცვლითი ვიზიტით ეწვევიან ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა კოლეჯებს, მათი მუშაობის პრინციპებისა და განათლების სისტემაში მათი როლის უკეთესად გაცნობის და თავისი სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით.

2. ამერიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალური პირები და პროფესორ-მასწავლებლები ეწვევიან საქართველოს, რათა ტექნიკური დახმარება გაუწიონ ქართველ კოლეჯებს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამების, პროფესიული სასწავლო პროგრამების, სამუშაო ძალის მომზადებისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარების ქმედითი პროგრამების შექმნის მიზნით.

### II . შეთანხმების სფერო

წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში განხორციელებული თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები ეფუძნება ორმხრივობის პრინციპებს და შესაძლოა მოიცვას

შემდეგი სფეროები: პროფესორ-მასწავლებლების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა პერსონალის გაცვლითი პროგრამები; (სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები და საზღვარგარეთ სწავლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები); ორმხრივი წინადადებების შემუშავება და კონსულტანტების გაცვლა; კულტურული გაცვლითი პროგრამები; ორმხრივად სასარგებლო მოკლევადიანი ტრენინგები; სასწავლო პროგრამების შექმნა და განვითარება და სხვა სახის დახმარება, რომლის საჭიროებაც გამოვლინდება თანამშრომლობის პერიოდში.


თანამშრომლობის მთავარ სფეროდ განისაზღვრება სათემო კოლეჯის ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა საქართველოს ყველა რეგიონში, სასწავლო პროგრამების შემუშავება, პროფესიულ განათლებაში ჩართული საზოგადოების, ბიზნესის, ინდუსტრიის და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთობების დამყარება, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მომზადება ეფექტური ფუნქციონირებისათვის. მთავარი პრიორიტეტი მიენიჭება სამუშაო ძალის განვითარებას, მათ შორის ურთიერთკავშირების დამყარებას და ეკონომიკურ განვითარებას საქართველოს რეგიონებში. პრიორიტეტულ სფეროებად მოიაზრება: საინჟინრო ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა, ბიზნესი და ეკონომიკა, ტურიზმი და სასტუმრო მენეჯმენტი.

### III. პროგრამის განხორციელება

სამინისტრო და გაერთიანება იქნებიან ამ შეთანხმების მთავარი შემსრულებლები და ინფორმაციის წყაროები, მემორანდუმის ფარგლებში შემუშავებული და განვითარებული პროგრამების შესახებ. მხარეების საჭიროებები და ინტერესები განისაზღვრება კოორდინირებულად, ურთიერთმოლაპარაკების, დეტალური კონსულტაციებისა და თანამშრომლობის პრინციპების მაქსიმალური დაცვით.

სამინისტრო და გაერთიანება, უფლებამოსილების ფარგლებში, მხარს დაუჭერენ ფონდების მოზიდვასთან დაკავშირებულ ინიციატივებს თავის ქვეყნებში, წინამდებარე მემორანდუმში გათვალისწინებულ საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით. ორმხრივ პროგრამებთან დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს მიზნობრივი სარეკომენდაციო წერილებით, საგრანტო განაცხადებთან დაკავშირებულ ტექნიკური საკითხებზე კონსულტაციებით, თანამშრომლობასთან დაკავშირებული სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებების კოორდინირებით.

სამინისტროსა და გაერთიანებას შორის ორმხრივი პროგრამების განხორციელება მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების, სასწავლო პროგრამების გავრცელება-განაწილების, გაცვლით ვიზიტებთან და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზებას, კოორდინაციას და ლოჯისტიკას.




#### IV. მემორანდუმის მართვა

მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი მოხდება რეგულარული მიმოხილვითი ანგარიშების მომზადებითა და გაცვლითი ვიზიტების საშუალებით. წერილობითი კორესპონდენცია და ელექტრონული წერილები იქნება მუშაობის და ყოველდღიური შეფასების სავალდებულო მეთოდი. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ასევე ჩატარდება ორმხრივი კონსულტაციები შეთანხმებული გადაწყვეტილებების მისაღებად. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში შექმნილი მიზნობრივი ხელშეკრულებებით განისაზღვრება სხვადასხვა დონისძიებებისათვის გათვალისწინებული ფინანსების განკარგვის წესები და პროცედურები.

#### V. შეთანხმების ხანგრძლივობა


ეს შეთანხმება ამოქმედდება ორივე მხარის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან. თითოეული მხარე უფლებამოსილია გააუქმოს შეთანხმება მეორე მხარისათვის "შეთანხმების შეწყვეტის შესახებ" წერილობითი შეტყობინების საშუალებით, იმის გათვალისწინებით, რომ შეწყვეტის დროს მიმდინარე ნებისმიერი ღონისძიება, მემორანდუმის ფარგლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესაბამისად, ექვემდებარება დასრულებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
ხელმოწერა

 \_\_\_\_\_ თარიღი 6. 4. 2006

ალექსანდრე ლომაია  
მინისტრი

გაერთიანება - "სათემო კოლეჯები საერთაშორისო  
განვითარებისათვის"  
ხელმოწერა

 \_\_\_\_\_ თარიღი April 6 2006

ჯონ. ა. ჰალდერი,  
საერთაშორისო განვითარების  
ფედერალური კოლეჯის პრეზიდენტი